ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სანივთო და ვალდებულებითი უფლებების გამიჯვნა

გიორგი გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
კერძო ბიზნესის სამართლის ფაკულტეტზე
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

სამოქალაქო ბრუნვა ქონებრივი გადაადგილებების მეშვეობით ვითარდება. ვალდებულებითი სამართალი კი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე დიდ ნაწილს არეგულირებს, წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ სისტემას ამ ურთიერთობებში.

პრაქტიკაში ვალდებულებითი სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების გამოყენება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ყოველ ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც ძირითადად მიმდინარეობს ქონებრივი გადაადგილებები, თან ახლავს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი ეფექტი, რაც იწვევს საკითხის მთელ სირთულეს.

რეგულირების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო სუბიექტური ვალდებულება - ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევაა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება, როგორც წესი, სანივთო ან ვალდებულებითი სამართალურთიერთობის მეშვეობით ხდება.

სანივთო (ქონებრივ) სამართალურთიერთობებში უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილებას ადგილი აქვს ნივთის სასარგებლო თვისებების ხარჯზე, ამ ნივთზე უშუალო ზემოქმედების გზით. ვალდებულებითი სამართალურთიერთობების დროს კი პირის ინტერესების დაკმაყოფილება ვალდებული პირის განსაზღვრული მოქმედებების ხარჯზე მიმდინარეობს. ასეთი კლასიფიკაციის პრაქტიკული არსი სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე პირთა ქცევის სხვადასხვა სამართლებრივ რეგლამენტაციაშია.